დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 24 08
29/04/2020

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 27/03/2020 №07/1295 წერილისა და შპს ,,აუდიტორული ფირმა საპიენტი სატი -777'' 2020 წლის 17 მარტის №1-18.03/20-6 დასკვნის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს სარგებლობის უფლებით, იჯარით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში 9 აპრილის ქ.№32-ში მდებარე (ს.კ.82.01.46.485) მიწის ნაკვეთზე მდებარე 500,00 კვ.მ შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მარჯვენა ფლიგელში არსებული 15კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი ორი წლის ვადით და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 100 (ასი) ლარი თვეში, 1200 (ერთიათასორასი) ლარი წელიწადში.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

24-08-4-202004291447
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/